შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №43 § 1

ქუთაისის უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის აღდგენა/გადაყვანის წესით ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების აღდგენის/გადაყვანის წესით ჩარიცხვის პირობების შესახებ

ქუთაისი 20.07.2016 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის № 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე–2 მუხლის პირველი პუნქტის, მე–3 პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 5 ივლისის № 566 ბრძანების საფუძველზე ვბრძანებ:

1. ქუთაისის უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის აღდგენა/გადაყვანის წესით ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველ პირთათვის, რომლებსაც გააჩნიათ ამის უფლება კანონმდებლობის მიხედვით, რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 27 ივლისიდან 18 აგვისტოს ჩათვლით.
2. აღდგენა/გადაყვანის წესით ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვს:

   ა) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს;

   ბ) არააკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებულად ეთვლება;

   გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა”–„ბ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, რომლებსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვთ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსი და სტატუსის შეჩერების დღიდან 2016 წლის 26 ივლისამდე არაა გასული 5 წელი;

   დ) 2010 წლის 4 თებერვლამდე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხულ/ამორიცხულ პირს, თუ მისი გარიცხვის/ამორიცხვის დღიდან 2016 წლის 26 ივლისამდე გასულია 10 წელზე ნაკლები;

   ე) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსშეწყვეტილ პირს, რომელსაც არ დაუმთავრებია სწავლა ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით, თუ მისთვის სტატუსის შეწყვეტის ბრძანება გამოცემულია არაუადრეს 2015 წლის 26 ივლისისა და თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი არაა სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელი.
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველმა პირებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ:
   - განცხადება რექტორის სახელზე;

– თუ პირს შეჩერებული ჰქონდა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსი ფინანსური დავალიანების მიზეზით - ამ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე არსებული დავალიანების გასწორების დამადასტურებელი საბუთი;

4. მობილობის წესით ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველმა პირმა ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრულ ვადაში ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიაროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე და აგრეთვე წარმოადგინოს განცხადება და პირადი საქმის ასლი უნივერსიტეტის კანცელარიაში.

5. მობილობის წესით ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველმა იმ პირებმა, რომელთაც მოიპოვეს აღნიშნული უფლება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისაგან, 2016 წლის 22 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე ქუთაისის უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინონ:
– პირადობის მოწმობის ასლი;
– იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტად ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი, რომელშიც სწავლობს/სწავლობდა;
– სტუდენტსი სტატუსშეწყვეტილმა ან შეჩერებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ბრძანების დამოწმებული ასლი მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შესახებ;
– ინფორმაცია სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსებისა და მიღებული შეფასებების შესახებ იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სადაც სწავლობს/სწავლობდა სტუდენტი, მათ შორის დაწესებულების ბეჭდითა და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით დამოწმებული ნიშნების ფურცელი;
– იმ საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლი, რის საფუძველზეც ჩაირიცხა უმაღლსე საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც სწავლობს/სწავლობდა;სამხედრო ვალდებულების დამადასტურებელი საბუთის ასლი (საქართველოს მოქალაქე ვაჟებმა);
– თუ პირი ჩარიცხული იყო სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, უცხო ქვეყნის მოქალაქეის სტატუსით - ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. ქუთაისის უნივერსიტეტი უფლებამოსილია, სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამის ქუთაისის უნივერსიტეტის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია იმ სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან, სადაც სწავლობდა ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტად მისაღები პირი.

7. ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების რომელიმე სფეროს ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორეზე გადასვლის მსურველი სტუდენტების განცხადების მიღება იწარმოებს 22 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, 10:00–დან 16:00 საათამდე.

8. განაცხადების და საბუთების მიღება იწარმოებს 2016 წლის 1 სექტემბრიდან 6 სექტემბრის ჩათვლით, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, 10:00-დან 16:00 საათამდე ქუთაისის უნივერსიტეტის შენობაში (ქუთაისი, წერეთლის ქ., 13). საკონტაქტო პირი თინათინ მეფარიშვილი, ტელ. 514 70 44 07.

9. მობილობის მსურველი პირი ვალდებულია, პირადად გამოცხადდეს ქუთაისის უნივერსიტეტის კანცელარიაში და წარმოადგინოს ამ ბრძანებით განსაზღვრული საბუთები.

10. დაევალოს ქუთაისის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს გადაყვანის/აღდგენის წესით სურვილის მქონე სტუდენტების მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამების უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან

თავსებადობის შესახებ მოტივირებული დასკვნების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე და მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება არაუგვიანეს 7 სექტემბრისა.

11. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ხაზარაძე

LLC KUTAISI UNIVERSITY
შპს ქუთაისის უნივერსიტეტი
212677094